

8. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ხელმძღვანელი კადრების დანიშვნის წესის შესახებ

@ რესპუბლიკის პროკურატურის და შსს ორგანოების აფხაზეთის იურისდიქციაში გადაყვანის შესახებ@ აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წლის 24 იანვრის დადგენილების საფუძველზე აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაწესდეს, რომ

_ აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილეები თანამდებობებზე ინიშნებიან აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით შემდგომში აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ბრძანების გამოცემით;

_ აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებების (სამმართველოების) უფროსები ინიშნებიან აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით;

_ საქალაქო და სარაიონო სამინისტროს განყოფილებების (სამმართველოების), აფხაზეთის რესპუბლიკის ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსები თანამდებობებზე ინიშნებიან მინისტრის ბრძანებებით ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელებთან და აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა

ქალ. სოხუმი, 17 მარტი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივიდან. საკუთარი თარგმანი)